

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N064/16¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი ენვერ აბულაძე

ფაქტები:

კლიენტსა და ადვოკატს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება ყველა ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობაზე. წარმომადგენელი ადვოკატთა ერთიან სიაში ირიცხება სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატად. საქმისწარმოება, რომელზეც ადვოკატი წარმომადგენდა კლიენტს არ განეკუთვნებოდა სისხლის სამართლის საქმეს. ადვოკატმა მიმართა სარჩელით სასამართლოს, რომელზეც დადგინდა ხარვეზი. ადვოკატმა ხარვეზი დადგინდა დროში არ გამოასწორა, რის გამოც განჩინებით სასამართლომ უარი თქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. ადვოკატმა კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია მისი სპეციალიზაციის, ასევე, სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შესახებ.

პროცესუალური ისტორია:

საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატის მხრიდან დარღვეულად ჩაითვალა კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულება ორი საფუძვლით: ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურებაზე შეთანხმება მისი სპეციალიზაციისგან განსხვავებულ სფეროში და ხარვეზის გამოუსწორებლობა.

ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 11.8). კლიენტის ინტერესების კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად დაცვის ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს სპეციალიზაციის შესაბამისად. აღნიშნულ ადვოკატს კვალიფიკაცია მიენიჭებული ჰქონდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მიმართულებით, ამდენად მას შეეძლო კლიენტისთვის მომსახურება გაეწია შესაბამის დარგში. მსგავს დროს მნიშვნელოვანია, ასევე კლიენტის ინფორმირების საკითხი, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება გააჩნია ნებისმიერ ქმედუნარიან პირს („საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“ მუხლი 94.1 „დ“). იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი მიაწოდებს ინფორმაციას პოტენციურ კლიენტს, რომ იგი არის სისხლის სამართლის სპეციალისტი და კლიენტი აიღებს რისკს საკუთარ თვზე, რომ ადვოკატმა წარმოადგინოს მისი ინტერესები სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს პირველ ინსტანციაში, ამ შემთხვევაში ადვოკატი არ დაარღვევს პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატს არ მიუწოდებია კლიენტისათვის ინფორმაცია თავისი სპეციალიზაციის შესახებ და სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის მიხედვით იგი კლიენტს წარმოადგენდა ყველა ინსტანციის სასამართლოში, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა.

¹<https://gba.ge/pdf/5c62ba778d638.pdf/064.16%2009.11.17%20didi%20Jiuri,%20gafrtixleba.pdf?fbclid=IwAR26Kk74NKw0FghOEKG3USxl7m1GYchqrVKYpvD9gBqJomxRuURZ8H2MOMI>

რაც შეეხება ხარვეზის გამოუსწორებლობას, კლიენტის მიერ ადვოკატისათვის წარმომადგენლობის უფლების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. სარჩელზე ხარვეზის დადგენის შემდეგ ადვოკატს მის გამოსასწორებლად ქმედება არ განუხორციელებია და არც რაიმე საპატიო მიზეზი უთქვამს კლიენტისთვის. მან გაუშვა ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადა და მისი უმოქმედობის შედეგად კლიენტს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე და მიადგა ზიანი. საქმის შედეგს ადვოკატი წინასწარ ვერ განსაზღვრავდა, თუმცა ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო საქმის კლიენტის სასარგებლოდ გადაწყვეტის შანსი მოისპო. სპეციალიზაციის არქონა, თვისთავად, ურთიერთობის დასაწყისშივე წარმოშობს არაკვალიფიციური წარმომადგენლობის შემთხვევას, მიუხედავად შემდგომი შედეგებისა. თუმცა, ამ შემთხვევაში, სპეციალიზაციის კუთხით პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას დაემატა ფაქტობრივად დამდგარი შედეგი - ადვოკატის უმოქმედობა კლიენტის ინტერესების დასაცავად.

ადვოკატმა ასევე დაარღვია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, ვინაიდან ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს საქმის გარშემო სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. ადვოკატმა არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია საკუთარი სპეციალიზაციის შესახებ, ასევე არ გააცნო ინფორმაცია სასამართლოს მიერ ხარვეზის შესახებ და, ასევე, იმის შესახებ, რომ მან ეს ხარვეზი არ შეავსო. შესაბამისად ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების დარღვევა და ადვოკატის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.